

კონვენციის შრომები

# საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

## ია მოქია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, იურისტი

საკვანძო სიტყვები: არბიტრაჟი, საჯარო წესრიგი, უპირატესობა

## შესავალი

„არბიტრაჟი დავის განხილვის ალტერნატიული საშუალების სახეა, რომელიც მოიცავს დავათა კერძოდ გადაწყვეტის მრავალნაირ პროცედურას“<sup>1</sup>. არბიტრაჟის წესით საქმის განხილვა აღიარებული პროცედურაა სამართლის სხვადასხვა სისტემაში, რომელიც დავის მხარეებს სასამართლო პროცესზე უფრო სწრაფ და ფინანსურად ხელსაყრელ წესებს სასამართლოსთვის დადგენილი წესების გვერდის ავლით<sup>2</sup>სთავაზობს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია და იურიდიული ძალის მინიჭებას კი ახდენს სახელმწიფო.

არბიტრაჟი ქართულ სამართლებრივ სისტემაში გაჩნდა 1994 წელს, როცა საქართველო შეუერთდა ნიუ-იორკის კონვენციას<sup>3</sup>, თუმცა მან მრავალი წლის განმავლობაში, შესაბამისი ასახვა ვერ ჰპოვა საქართველოს კანონმდებლობაში. 1997 წელს მიღებულ იქნა „კერძო არბიტრაჟის შესა-

1 Steven C. Bennett, Arbitration, Essential Concepts, (2002), 4.  
2 J.G. Merrills, International Dispute Settlement, fourth edition, University of Sheffield, CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS, 2005, 117, მითითებულია ქეთევან ანდლულაძის ნაშრომში, საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნაღველობა (შედარებითი ანალიზი), (თბილისი 2013), 7.  
3 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან მიერთების თაობაზე“, თბ.,3 თებერვალი, 1994, [შემდგომში New York Convention 1958].

## კონვენციის შრომები

ხებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ვერ პასუხობდა საერთაშორისო კონვენციების მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლოს კონტროლი არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ არსებობდა. გამოტანილი გადაწყვეტილება, ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლის გარეშე ხდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების „ტოლფასი“. კანონი თავად არბიტრაჟის თავმჯდომარეს აღჭურავდა უფლებამოსილებით, გაეცა საბაღს-რულებო წარწერა. ამან განაპირობა სისხლის სამართლის დანაშაულებების მომრავლება ქრთამის აღების ფაქტზე.

სწორედ ამიტომ, 2009 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“. კანონპროექტის შემუშავება გამოიწვია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარიზაციის აუცილებლობამ<sup>4</sup>. კანონის მოქმედება ვრცელდება როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის, როგორც მოდელური კანონის მიხედვით შექმნილი ნორმატიული აქტის ერთ-ერთ ნოვაციას, სწორედ ცნობის და აღსრულების დახვეწილი და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისი რეგულირების შემოტანა წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ მართლმსაჯულების სფეროში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმები განახორციელა, დავების დარეგულირების ალტერნატიული მექანიზმის მოწესრიგების მდგომარეობა და რეფორმის სფეროში არსებული ვითარება ჯერ კიდევ არადაამაკმაყოფილებელია, რადგან ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში მოდელური კანონის მიერ დამკვიდრებული სტანდარტების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება და ჰარმონიზაცია ძნელად ხორციელდება.

რაც შეეხება, 1958 წელს ნიუ-იორკში დადებულ „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ კონვენციას, იგი წარმოადგენს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ქვაკუთხედს, რომელიც უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების საიმედოობისთვის და შექმნილია, რათა ხელი შეუწყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას.<sup>5</sup> იგი ითვალისწინებს მექანიზმს, რომელიც დამოკიდებულია ეროვნული სასამართლოების თანამშრომლობაზე. მთავარი არსი არის ნაცვალებითი ნდობა.<sup>6</sup> კონვენცია ითვალისწინებს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა ცნონ და აღასრულონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები იმ ქვეყნის პროცედურული წესების შე-

4 იხ.: განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. file:///C:/Users/RGB7/Downloads/file-15122014%20(2).pdf (ბოლო გამოხმობილია - 27.06.2015).

5 Kenneth R. Davis. Unconventional Wisdom: a new look at articles V and VII of the convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards. Texas international law journal. 46.

6 ICCA „კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო“, ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის, მთარგმნ. რ. ჭკუასელი, თ. მორჩილაძე, ნ. სესიტაშვილი, დ. ხაჭვანი, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს დახმარებით (მშვიდობის სასახლე, ქ. ჰააგა, 2013), 9. [შემდგომში ICCA, ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის].

კონვენციის შრომები

საბამისად, რომელთა საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება და მხოლოდ ორ პროცედურულ საკითხებს არეგულირებს: მტკიცების ტვირთს და წარსადგენი დოკუმენტების საკითხს. ამასთანავე გააჩნია ორი ძირითადი მიზანი: საარბიტრაჟო შეთანხმებების ცნობა და აღსრულება; უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება.

რაც შეეხება ნიუ-იორკის კონვენციასა და ეროვნული სამართლის ურთიერთდამოკიდებულებას, განასხვავებენ სამ შემთხვევას<sup>7</sup>:

1. თუ ნიუ-იორკის კონვენცია და შიდა სამართალი არეგულირებენ ერთსა და იმავე საკითხს, ამ შემთხვევაში კონვენცია უპირატესია შიდა სამართალზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შიდა სამართალი უფრო ხელსაყრელ სამართალს წარმოადგენს. გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლომ უნდა მიუთითოს კანონმდებლობაზე, რომელიც ახდენს კონვენციის იმპლემენტაციას
2. თუ ნიუ-იორკის კონვენცია არ არეგულირებს გარკვეულ საკითხს. ამ შემთხვევაში, სასამართლოები გამოიყენებენ თავიანთ შიდა სამართალს ნიუ-იორკის კონვენციასთან ერთად
3. თუ ნიუ-იორკის კონვენცია პირდაპირ მიუთითებს შიდა სამართალზე. ამ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გამოიყენოს შიდა სამართალი კონვენციით ნებადართულ ფარგლებში.

კონვენცია განამტკიცებს გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების ზოგად პრინციპს, რომლის თანახმადაც, „ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია, ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ და აღასრულოს ისინი იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება.“<sup>8</sup>

თავდაპირველად, განვსაზღვროთ თითოეული ტერმინის მნიშვნელობა. იურიდიულ ლიტერატურაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „ცნობის ინსტიტუტი გულისხმობს, რომ სახელმწიფო აცხადებს თანხმობას მოცემული სასამართლო აქტის მიერ, მისი იურისდიქციის ფარგლებში, იურიდიული შედეგების წარმოშობაზე.“<sup>9</sup> ეს არის აღსრულების სამართლებრივი წინაპირობა.

აღსრულება კი მხარეებს ავალდებულებს, პატივი სცენ გადაწყვეტილების ბუნებას<sup>10</sup>, ანუ ეს ნიშნავს აქტისთვის მოქმედების უფლების მინიჭებას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა და შემდგომ აღსრულება მხოლოდ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ ხორციელდება, რომელთა კომპეტენციასაც აღნიშნული ექვემდებარება.<sup>11</sup>

7 ICCA, ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისათვის, 38.

8 New York Convention 1958, article II (1)

9 გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), (თბილისი, 2012), 652.

10 სალომე ჯაფარიძე, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება“, 213.

11 სალომე ჯაფარიძე, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება“, 216.

## კონვენციის შრომები

ე.ი. მხოლოდ ცნობას შედეგი ნაკლებად მოაქვს, მაგრამ აუცილებელია აღსრულების წინაპირობად.

ზოგადად, ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით, ტერმინი „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ მოიცავს არა მხოლოდ ყოველ ცალკეულ საქმესთან დაკავშირებით დანიშნული არბიტრების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, არამედ იმ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანოების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც, რომლებსაც მხარეებმა მიმართეს<sup>12</sup>. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია [...] სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახის ჩარევა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული“.<sup>13</sup>

## 1. საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „საქართველოში გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით [...] უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები“<sup>14</sup>. საქართველოში ეს არის თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები. საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს.

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების რეგულირების საკითხი 2009 წლამდე ბუნდოვანი იყო, რადგან ამ გადაწყვეტილების ცნობა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით და მინსკის კონვენციით გათვალისწინებული წესებით ხდებოდა. ამ დროს მოქმედებდა ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია, რომლის გამოყენების ლეგიტიმაცია საქართველოს ჰქონდა, თუმცა უზენაესი სასამართლო მიერ მის გამოყენებაზე პრეცედენტი 2009 წლამდე არ არსებობდა. 2010 წლიდან მათი რეგულირების საკითხი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით განისაზღვრა.

თუ თვალს გადავავლებთ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შემოსულ საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატებთან არსებული საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟების გადაწყვეტილებები, თუმცა აქ არის რამდენიმე ინგლისური არბიტრაჟის, ICSID-ის და ICC -ის არბიტრაჟის გადაწყვეტილებაც.

12 New York Convention 1958, article I (2).

13 იხ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მე-6 მუხლის მეორე პუნქტი.

14 იხ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 44-ე მუხლი.



კონვენციის შრომები

**2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებისთვის შუამდგომლობის პროცედურული წესები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების გადაწყვეტილების გამოსატანად, მხარემ სასამართლოში უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი შესრულებული ქართულ ენაზე ან ამ საბუთის სათანადოდ დამოწმებული თარგმანი და ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროცედურების განხილვის დროს, მნიშვნელოვანი ნაწილია ბაჟის განსაზღვრის საკითხი. ნიუ-იორკის კონვენციის სავალდებულო მოთხოვნაა, რომ დაუშვებელია შიდა გადაწყვეტილებებთან შედარებით უფრო მძიმე პირობების ან უფრო მაღალი ბაჟის დაწესება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისთვის, რომელთა ცნობა-აღსრულებაც ხორციელდება კონვენციის საფუძველზე.<sup>15</sup>

ცნობისა და აღსრულებისთვის წარსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებით, არსებობს პრობლემატური საკითხი. კერძოდ, ნიუ-იორკის კონვენცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის, საარბიტრაჟო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების ორიგინალების ან მათი დამოწმებული ასლების წარმოდგენას ითხოვს. ორიგინალი ელექტრონული დოკუმენტი არ არსებობს. არსებობს მოსაზრება, რომ შეიქმნას ელექტრონული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ერთიანი მონაცემთა ბაზა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც შესაბამისი საარბიტრაჟო ინსტიტუტები (ODR providers – online dispute resolution providers) შეიყვანენ ყველა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოო მოცემულ საქმეზე. ამგვარად, სასამართლოებს შესაძლებლობა ექნებათ, შეამოწმონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეალურობა და, შესაბამისად, იმსჯელონ მის ცნობასა და აღსრულებაზე.<sup>16</sup> ჯერჯერობით, ელექტრონული ფორმით არსებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგანია.

**3. საარბიტრაჟო შეთანხმების დამახასიათებელი ნიშნები**

კონვენციის მიერ დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ეს არის ნებისმიერი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მხა-

15 New York Convention 1958, article III.  
16 Kaufmann-Kohler, Gabrielle; Schultz Thomas, Online dispute resolution, Challenges for contemporary Jusitce, International arbitration law library, Kluwer law international 2004, 217. მითითებულია გიორგი ცერცვაძის ნაშრომში საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), (თბილისი, 2012), 658.

## კონვენციის შრომები

რეებს სურთ, მათ შორის არსებული დავა განიხილოს არბიტრაჟმა. შეთანხმება შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია ზოგად პრინციპებს ადგენს. კერძოდ, ტერმინი „წერილობითი შეთანხმება“ გულისხმობს საარბიტრაჟო დათქმას ხელშეკრულებაში, ან მხარეების მიერ ხელმოწერილი წერილების, ან ტელეგრამების ურთიერთგაცვლაში ასახულ საარბიტრაჟო შეთანხმებას.<sup>17</sup> განმარტების მხრივ, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ჩანაწერიც მსგავსია.

საარბიტრაჟო შეთანხმება იდება წერილობითი ფორმით. შესაძლოა, იგი დათქმის სახით ძირითად ხელშეკრულებაში იყოს მითითებული, ან არსებობდეს დამოუკიდებელი შეთანხმების სახით. იგი არბიტრაჟის საწყის წარმოადგენს.<sup>18</sup>

სასამართლო მხარს უჭერს საარბიტრაჟო შეთანხმებას, მაგრამ ზოგჯერ იგი ვერ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას, რაც ქმნის მისი ბათილობის საფუძველს. საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც აზრის გადმოცემა არალოგიკურია/შეუსაბამოა, გაურკვეველია ან აზრის გაგებაა რთული. ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად, შეთანხმება ბათილია, თუკი იგი უმოქმედოა ან შეუძლებელია მისი აღსრულება; რაც გულისხმობს, რომ მხარეები არ იყენებენ დათქმულ დროში ან როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილია, მაგრამ არბიტრაჟის შემადგენლობა არასწორადაა ჩამოყალიბებული.

მაშასადამე, კონვენცია ითვალისწინებს სტანდარტს, რომლის თანახმადაც, შიდა კანონმდებლობით უფრო მაღალი ან მკაცრი სტანდარტის დაწესება ეწინააღმდეგება კონვენციას. კონვენცია არ კრძალავს ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ, საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით, ნაკლებად მკაცრი მოთხოვნების დადგენას.

#### 4. სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და დაემატა მეშვიდე პრიმა კარი „სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში“. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით განსაზღვრულია სა-

17 New York Convention 1958, III მუხლი.

18 იხ: A. Redfern and M. Hunter, 1999, 135; Professor Michael Pryles, Drafting Arbitration Agreements, Citation: 15 Adel. L. Rev. 5, 1993, 5, [შემდგომში - Professor Michael Pryles], 1993, მითითებულია ქეთევან ანდლულაძის ნაშრომში, საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი გაეროს მოდელურ კანონთან), (თბილისი 2013), 8.

კონფერენციის შრომები

სამართლოს უფლებამოსილებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თუ სასამართლო პრაქტიკას გადავხედავთ, არბიტრაჟის კუთხით სავალალო მდგომარეობაა, ვინაიდან ძირითადად შუამდგომლობას წარადგენენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ბანკები - სტანდარტული ხელშეკრულებებითა და შეუსაბამოდ მაღალი თანხებით.

რაც შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმასა და გადაწყვეტილების გაუქმებას, აღნიშნული წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კონტროლის ფორმებს, რომლებიც, ძირითადად, ერთ მიზანს ემსახურებიან – გამორიცხონ საარბიტრაჟო განხილვის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგის დადგომა.

გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების ჩამონათვალი გათვალისწინებულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლში, რომელიც ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის იდენტურია, როცა „მხარეს შეიძლება უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე“ მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები ორ ჯგუფად იყოფა: „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს საფუძვლებს, როცა მხარეს ენიჭება უარის თქმის საფუძველზე მითითებისა და მისი მტკიცების ტვირთი. დამარცხებული მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულებებსა და ფაქტობრივი გარემოებების მითითებით დაამტკიცოს უარის თქმის რომელიმე საფუძვლის არსებობა. მეორე პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების მითითება და გამოკვლევა, სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს.<sup>19</sup>

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება, გადასინჯვის საფუძველზე, საქმეზე ახალი გადაწყვეტილება გამოიტანოს, თუნდაც არბიტრაჟის მიერ არასწორი გადაწყვეტილება იყოს გამოტანილი. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლო განმარტების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან, რომლის ცნობას და აღსრულებასაც ითხოვდა განმცხადებელი, ნათლად არ ირკვეოდა, თუ საიდან გამომდინარეობდა 14661.50 ლარის ოდენობით მოპასუხისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, სააპელაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით ვერ გადახედა აღნიშნულ საკითხს.<sup>20</sup>

უნდა აღინიშნოს ხარვეზი, რომელიც იკვეთება არსებული პრაქტიკიდან: პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აღსრულება განხორციელდება, ხოლო ამის შემდგომ გადაწყვეტილება უქმდება. ასეთ სიტუაცი-

19 იხ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 45.

20 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე N4963-12, 28 თებერვალი, 2013 წელი, იხ. <http://library.court.ge/judgements/4012015-01-30.pdf> (ბოლოს გამოხმობილია 05.07.2015).

## კონვენციის შრომები

აში მეტად ძნელდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ხშირად ზიანის ანაზღაურება. უპრიანი იქნება, რომ 42-ე მუხლში დამცავი ბერკეტი ჩაიწეროს გასაჩივრების შემთხვევაში, აღსრულების პროცესის შეჩერების თაობაზე.

## 5. საქართველოს სასამართლო სისტემაში საჯარო წესრიგი (შედარებითი ანალიზი)

ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები ამომწურავია, მაგრამ ის მაინც აძლევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისადმი ნეგატიურად განწყობილ სასამართლოს მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საშუალებას. მხედველობაშია საჯარო წესრიგი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს სასამართლო ცდილობს, რომ ამ ცნებას არ მისცეს ძალიან ფართო განმარტება, ის მაინც იძლევა ლოკალურ „საჯარო წესრიგზე“ მითითებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას<sup>21</sup>. საჯარო წესრიგის და ასეთი წესრიგისადმი მიკუთვნებული კონკრეტული იმპერატიული თუ სხვა ნორმების შესახებ ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. საერთაშორისო სამართლის ასოციაციამ (International law association -- ILA) 2002 წელს დელიში გამართულ კონფერენციაზე შეიმუშავა რეკომენდაცია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, სადაც განმარტებულ იქნა საერთაშორისო საჯარო წესრიგი, როგორც ძირითადი პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებსაც, თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლიათ გამორიცხონ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, თუ ასეთი ცნობა და აღსრულება გამოიწვევდა დარღვევას პროცედურის (საერთაშორისო საპროცესო საჯარო წესრიგი) ან არსებითი (საერთაშორისო მატერიალური საჯარო წესრიგი) თვალსაზრისით.<sup>22</sup>

არსებობს სასამართლო პრაქტიკა საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობაზე მითითებით. კერძოდ, მხარის არაინფორმირებულობის გამო, ხშირად არის შემთხვევები, რომ მხარეს ხელშეკრულებით გააჩნია ფაქტობრივი მისამართი, მაგრამ თუ არბიტრი რეგისტრირებულ მისამართზე აგზავნის შეტყობინებას, ამ შემთხვევაში დარღვევაა და აღნიშნული საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, საჯარო პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე, არბიტრაჟმა საარბიტრაჟო მოსარჩელეს მაქსიმალურად უნდა მოსთხოვოს იურიდიული პირისა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საკონტაქტო მონაცემების მითითება და მხოლოდ ამის შემდგომ

21 გიორგი ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), (თბილისი, 2008), 435.

22 Kurkela, S. Matti, Due Process in international commercial arbitration, Hannes Snellman, Oceana Publications Inc. 2005, 12 მითითებულია გიორგი ცერცვაძის ნაშრომში საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), (თბილისი, 2012), 668.



კონფერენციის შრომები

შეუძლია იმსჯელოს საჯარო შეტყობინების გამოყენების აუცილებლობაზე.

საჯარო წესრიგზე აპელირებენ და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სამოტივაციო ნაწილს არ შეიცავს. არბიტრაჟი ვალდებულია, მიიღოს დასაბუთებული და არგუმენტირებული გადაწყვეტილება, ხოლო სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ მითითებას კანონის ნორმებთან. სამოტივაციო ნაწილის არარსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს გადაწყვეტილების საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობას, თუ არბიტრაჟის ქვეყნის კანონმდებლობა სამოტივაციო ნაწილის სავალდებულობას ითვალისწინებს. სხვა შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ შეიძლება გახდეს.

სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება იმასთან დაკავშირებითაც, რომ ხშირად ადგილი აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობას და აღსრულებას შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოსამართლეს პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობასაც ანიჭებს. ეს არის გამონაკლისი, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს.

თუმცა, კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის, მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. პირგასამტეხლოს „აშკარა შეუსაბამობის“ თაობაზე მტკიცებულებებს წარადგენს პირი, რომელიც მის შემცირებას ითხოვს.“<sup>23</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო ძირითადად შებოჭილია და სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს, ძირითად თანხას და პროცენტს ვერ ეხება.

სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს შემცირება სხვადასხვანაირად ხდება. ზოგჯერ ეს არის პროცენტული (მაგ: სესხის ძირითადი თანხის მაგ: 0.07%-ის დაკისრების ნაწილში), ზოგჯერ კი ფიქსირებული.

მსჯელობიდან გამომდინარე იკვეთება, რომ აუცილებელია კიდევ ერთხელ საჯარო წესრიგის ნაწილში კანონმდებლობის გადახედვა. კანონში ან უფრო კონკრეტულად უნდა განისაზღვროს ის ძირითადი მიმართულებები, რასაც იგი მოიცავს, ან საერთოდ ამოღებულ იქნას და მო-

23 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საქმე №28/3112-14 გადაწყვეტილება, 24 თებერვალი, 2015 წელი, 3.

## კონფერენციის შრომები

ცემულ მუხლს დაემატოს გადაწყვეტილების გაუქმების კონკრეტულად იმ საფუძვლების ჩამონათვალი, რასაც კანონი საჯარო წესრიგის ცნებაში გულისხმობდა, მაგრამ ამ ნორმის ამოღება წამგებიანი იქნება და გაუმართლებელი, რადგან საჯარო წესრიგის ბუნდოვანი ცნება ერთგვარი დამცავი მექანიზმია საერთაშორისო არბიტრაჟების ისეთი გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევებში, რომლებიც ქვეყნისთვის მიუღებელია. საჭიროა აღნიშნულ საკითხის ძირფესვიანად შესწავლა და პრობლემის გადაჭრის გზის მოძიება, რადგან საქართველოში, ამ კუთხით, პრაქტიკა საკმაოდ მწირი და სუსტია. თუ გავითვალისწინებთ სხვა ქვეყნის მაგალითებს, სასამართლოს მიერ განისაზღვრა საჯარო წესრიგის (ordre public) თითქმის უნივერსალური დეფინიცია. „საჯარო წესრიგი წარმოადგენს ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციათა (extra-national community) ეკონომიკური, სამართლებრივი, მორალური, პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური ფუნდამენტური სტანდარტების ერთობლიობას<sup>24</sup>.“

## დასკვნა

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში არსებული პრაქტიკისა და უამრავი რეკომენდაციის შემდგომ მიღებულმა ახალმა კანონმა, სასამართლოს კონტროლის სრულიად ახალი წესი დანერგა: სასამართლოს მიეცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სისწორის შემოწმებაში ჩარევის ფარგლები და შესაძლებლობა. რაც მთავარია, აღნიშნული მოქმედება მხარეს უფლებას არ ართმევს, ხელახლა მიმართოს არბიტრაჟს და განიხილოს დავა სასამართლოს მიერ მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით.

ამ ეტაპზე, კანონმდებლობა საკმაოდ დახვეწილია, ე.ი საკანონმდებლო ბაზა მოწესრიგებულია. ამჯერად სახელმწიფოს, სასამართლო ხელისუფლების და თავად იმ კვალიფიციური ხალხის დახმარებაა საჭირო, რომლებიც პროცესის არბიტრებად მოიაზრებიან. საარბიტრაჟო ინსტიტუტის პოპულარიზაცია როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული და საერთაშორისო კუთხით, მოიზიდავს დავებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

აუცილებელია შეიქმნას შიდა ელექტრონული ქსელი, სადაც სისტემატიზებული იქნება ყველა საარბიტრაჟო საქმე. ელექტრონული წარმოება და შიდა ქსელი ხელს შეუწყობს საერთო სტატისტიკის ჩამოყალიბებას, რაც დღეს არ გაგვაჩნია. არბიტრები უფრო მკაცრად გაკონტროლდებიან

24 Choi S., Symposium Issue, The Interaction Between National Courts and International Tribunal, Note, Judicial Enforcement of Arbitration Awards Under The ICSID and New York Conventions, New York University Journal of International Law and Politics, (Fall 1995-Winter 1996), 18, მითითებულია ნინო ლიპარტიას ნაშრომში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები საჯარო წესრიგთან მიმართებით, ზურაბ ახვლედიანი 80, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, (თბილისი, 2013), 132.

კონფერენციის შრომები

ეთიკის კოდექსისა თუ სხვა საკანონმდებლო დარღვევების კუთხით და სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟების ასეთი მკაცრი მონიტორინგი აღარ იქნება საჭირო.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არბიტრთა არაპროფესიონალიზმი ან მიკერძოებული გადაწყვეტილებებია. იგივე მდგომარეობა გაგრძელდება, ვიდრე ისინი არ გახდებიან თავიანთი დარგის პროფესიონალები, არ იქნებიან მიუკერძოებლები და თავად არბიტრაჟის განვითარებისთვის არ იზრუნებენ.

დღესდღეობით, მთავარ მიზანს წარმოადგენს, რომ არბიტრაჟი უფრო ხშირად გამოიყენებოდეს ბიზნეს დავებში, გაიზარდოს მის მიმართ ნდობა, და ის ასევე გახდეს საყოფაცხოვრებო, მცირე და ვიწრო პროფილის მეწარმეთა დავების გადაწყვეტის მექანიზმიც. ამ ყველაფრის მისაღწევად, აუცილებელია სახელმწიფოს ძლიერი ნება, რათა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა ღირსეული ადგილი დაიკავოს. სახელმწიფო და არბიტრაჟი არ უნდა იყვნენ კონკურენტი მხარეები, ისინი საერთო საქმეს უნდა ემსახურებოდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ქართული რეალობის გათვალისწინებით, აუცილებელია შეიქმნას არბიტრთა მაღალი საკვალიფიკაციო სტანდარტი, მოხდეს სისტემატიურად მათი გადამზადება, ჩამოყალიბდეს სასამართლო პრაქტიკა და კიდევ უფრო დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა. ამ ღონისძიებების გატარებისა და სახელმწიფოს მხარდაჭერის ფონზე გაიზრდება არბიტრაჟებისადმი ნდობა და მათი პოპულარობა.

ბიბლიოგრაფია:

1. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი. <https://www.matsne.gov.ge>
2. 1958 - უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ იორკის კონვენცია.

# RECOGNITION AND ENFORCEMENT OF ARBITRATION AWARD PROBLEMS OF REGULATION IN GEORGIAN LAW AND COMPARED OF THE 1958 NEW YORK CONVENTION (comparative-legal analysis)

Ia Mokia

*Ilia state university the degree of Master's of Law, Lawyer*

KEY WORDS: Arbitration, Public order, The advantage

## RESUME

Judiciary in Georgia is overloaded by discussing civil disputes, especially disputes concerning economic matters. Correspondingly, it is necessary to reach the high level of international standards, such as establishment of the Alternative Dispute Resolution - Arbitration, which is significant and integral part of the economic development. That will make a great contribution to the progress of the country. The thesis deals with the issue of determining to what extent does the government intervene in a court of arbitration with regard to recognition and enforcement. The paper defines problems of regulatory issues in the Georgian legislation. Thus, there will be used comparative research method. Specifically, the law of Georgian on "Arbitration" will be compared to the 1958 New York Convention. The main goal of the work is to introduce the advantages of arbitration, consider key issues - public order, adversarial principle and reduction of the amount of the penalty. The relevance of the mentioned issue has been conditioned by the legislative amendments and homogeneous approaches made by the court. There is not established common judicial practice in Georgia, hence, it does not operate in the country.



კონფერენციის შრომები

NOTES:

1. Steven C. Bennett, Arbitration, Essential Concepts, (2002), 4. (In English)
2. J.G. Merrills, International Dispute Settlement, fourth edition, University of Sheffield, CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS, 2005, 117. Indicated: Andguladze k. Content validity of the arbitration agreement (comparative analysis), Tbilisi, 2013. 7. (In Georgian)
3. Resolution of the Parliament of Georgia on Accession to the International Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, Tbilisi, February 3, 1994, [hereinafter New York Convention 1958] (In Georgian)
4. Explanatory note on the Draft Law of Georgia on Arbitration. file:///C:/Users/RGB7/Downloads/file-15122014%20(2).pdf (Last accessed - 27.06.2015). (In Georgian)
5. Kenneth R. Davis. Unconventional Wisdom: a new look at articles V and VII of the convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards. Texas international law journal. 46. (In English)
6. International Council for Commercial Arbitration ICCA'S Guide to the interpretation of the 1958 New York convention: A handbook for Judges. Translator: R. Chkuaseli, T. Morchiladze, N. sesitaishvili, D. Xachvani. With the assistance of the Permanent Court of Arbitration Peace Palace, (The Hague, 2013), 9. (In Georgian)
7. ICCA'S Guide to the interpretation of the 1958 New York convention: A handbook for Judges 38. (In Georgian)
8. 1958 – Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards – the “New York” Convention. Article II (1). (In English)
9. Tsersvadze G. International Arbitration, Tbilisi. 2012. 652 (In Georgian)
10. Japaridze s. Interrelations between the annulment of the arbitral award and the refusal of recognition and enforcement of the arbitral award. Alternative Dispute Resolution. Yearbook, 2013. 213 (In Georgian)
11. Japaridze s. Interrelations between the annulment of the arbitral award and the refusal of recognition and enforcement of the arbitral award. Alternative Dispute Resolution. Yearbook, 2013. 216 (In Georgian)
12. 1958 – Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards – the “New York” Convention. Article I (2). (In English)
13. Law of Georgia on Arbitration. Article 6 (2). (In Georgian)
14. Law of Georgia on Arbitration. Article 44. (In Georgian)
15. 1958 – Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards – the “New York” Convention. Article III. (In English)
16. Kaufmann-Kohler, Gabrielle; Schultz Thomas, Online dispute resolution, Challenges for contemporary Justice, International arbitration law library, Kluwer law international 2004, 217. Indicated: Tsersvadze G. International Arbitration, Tbilisi. 2012. 658. (In Georgian)
17. 1958 – Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards – the “New York” Convention. Article III. (In English)
18. A.Redfern and M. Hunter, 1999, 135; Professor Michael Pryles,

## კონფერენციის შრომები

- Drafting Arbitration Agreements, Citation: 15 Adel. L. Rev. 5, 1993, 5, Indicated: Andguladze k. Content validity of the arbitration agreement (comparative analysis), Tbilisi, 2013. 8. (In Georgian)
19. Law of Georgia on Arbitration. Article 45. (In Georgian)
  20. Tbilisi Court of Appeals. Chamber of Civil Cases. Case N4963-12, 28 February, 2013 year, see. <http://library.court.ge/judgements/4012015-01-30.pdf> (last accessed 05.07.2015). (In Georgian)
  21. Tsersvadze G. International Arbitration, Tbilisi. 2012. 435. (In Georgian)
  22. Kurkela, S. Matti, Due Process in international commercial arbitration, Hannes Snellman, Oceana Publications Inc. 2005, 12. Indicated: Tsersvadze G. International Arbitration, Tbilisi. 2012. 435. (In Georgian)
  23. Tbilisi Court of Appeals. Chamber of Civil Cases. Case №20/3112-14, 24 February, 2015 year, 3. (In Georgian)
  24. Choi S., Symposium Issue, The Interaction Between National Courts and International Tribunal, Note, Judicial Enforcement of Arbitration Awards Under The ICSID and New York Conventions, New York University Journal of International Law and Politics, (Fall 1995-Winter 1996), 18, Indicated: Lipartia N. Grounds for refusal to recognition and enforcement arbitration in relation to public order. Zurab Akhvlediani 80. Publisher: David Batonishvili Institute of Laq. Tbilisi, (2013). 132. (In Georgian)

## BIBLIOGRAPHY:

1. Law of Georgia on Arbitration <https://www.matsne.gov.ge> (In Georgian)
2. 1958 – Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards – the “New York” Convention. (In English)